

1
1962

№ 23 თბილისი ლექსები 1962 წლის
 გიგლიორთეკა

ნანუკი

გამოცემის 80-40 წილი, ფასი 20 კპპ



ნან. გ. გვარცხვაშვილი

7-3-62

— უფველე, კაცო, ამ ბაღანას მოასწარი
 „ვოლგა“, თორემ ჩამოდნა საწყალი მთელი
 დღე კუსტაველზე ხატიალით!

Handwritten signature or notes at the bottom right of the page.

ცხაპიას, ჭარლის და ღუშეთის რაიკავშირის თავმჯდომარეებს, ასლი ცეკავშირის საქართვებ-საღების სეპციის განგეოზის თავმჯდომარეს ამხ.— ს. ი. ისაძეს

ვინა თქვა, მოსაწონი არ არისო ის სამაგალითო თათსობა, ამ რამდენიმე თვის წინათ რომ გამოიჩინეთ და ცეკავშირის გამგეობის ლოცვა-კურთხევით, თბილისის ბაზრებში სხვა თორმეტ რაიკავშირთან ერთად საკომისიო მალაზიები გახსენით. ესაო და კოლმეურნეები ცუდუბრალოდ სამუშაოს არ მოცდნენ და ზედმეტი პროდუქტების გასაყიდად გასაწევი ხარჯებისაგან განთავისუფლდნენ.

კეთილი იყო თქვენი მიზანი, კეთილშობილური იყო სურვილი თქვენი, აკი ამიტომაც ეწერა თქვენი მალაზიების თავზე „პროდუქტების სიუხვისათვის“.

პირველ თვეს მართლაც რომ ჩინებულად მუშაობდით, რა გინდა, სულო და გულო, რომ თქვენს მალაზიებში არ იყო, ხილი გინდა თუ ბოსტნეული, ხორცი თუ რძის ნაწარმი. თქვენი მოქნილი მუშაობით თავზარდაცემული ბაზრის სპეკულანტები გულში მჯიღს ირტყამდნენ და მდუღარდასხმულივით ადგილს ვერ პოულობდნენ, რა ღვთის რისხვა დაგვატყდა, რა ნადი ლუკმა გამოგვეცალა პირიდანო. ყველას და, მათ შორის, რა თქმა უნდა, მეც ასე მეგონა, კარგად დაწყებულ საქმეს კიდევ უფრო კარგი გაგრძელება მოჰყვებოდა, მაგრამ, ვაი რომ თქვენი საკომისიო მალაზიებიც დაცარიელდნენ და მეც იმედებისგან დავცარიელდი.

თქვენს საკომისიო მალაზიებში ამ ბოლო ხანებში ზოგჯერ ისეთი პროდუქტები გამოერია, რომ, მყიდველებს ვინა ჩივის, თვით „ცეკავშირის“ დამზადების სამმართველოს და კოოპერაციის წარმომადგენლებს ცხვირზე ხელი ჰქონდათ აფარებული და მათი კომისიები ჩამოფასება-ჩამოწერის საქმით იყვნენ გართულნი.

მართალია თქვენი მალაზიები ერთი შირთონით არიან ცხებულნი, ერთი და იმავე წესით არიან ნაკურთხნი, მაგრამ, ჰოი საოცრებავ, ერთი და იმავე პროდუქტების ფასები ისევე გვანან ერთმანეთს, როგორც ბედურა არწივს, კატა ვეფხს, ანდა ქათამი სირაქლემას.

ისიც ფაქტია, რომ თქვენს მალაზიებში ზოგჯერ ისეთი საქონელი ამოყოფს ხოლმე თავს, რომლებსაც, თავიც რომ იმტვირის კაცმა, ვერც ფაქტურას მოუნახავს და ვერც სხვა რაიმე საბუთს.

იმასაც მოგაგონებთ, რომ დროდადრო პროდუქტთა შესყიდვის ფასსა და გასაყიდ ფასს შორის ისეთი განსხვავება წარმოიშობა, რომ ამ მოვლენის ძიებას დიხაც შემსყიდველთა და გამყიდველთა ჯიბეებამდე მიყვავართ.

თქვენს მალაზიებში დროგამოშვებით ახალ მთვარესავით გამოჩნდება ესა თუ ის პროდუქტი, ვაჭრობა გაჩაღდება, ყაფაზები პროდუქტებით გაივსება, მალაზია მყიდველებით გაიჭედება, მაგრამ ორიოდ დღის შემდეგ ისევ მიწყდება ხმაური, ისევ დაცარიელდება ყაფაზები, და კურთხეული მალაზია ქართა სათარემოდ გადაიქცევა... და, თუ მიჩვეულ მყიდველს შიგ ფეხი შემოუცდება, მხრებს აიჩეჩავს და იქაურობას გაწბილებული გასცილდება ძველი ქართული ანდაზის გახსენებით: „ხან სულ არაო და ხან სულ ვარხალალო“.

დღეს ნადვლიანი თვლებით შევცქერით თქვენს დაცარიელებულ დახლებს, პირგასუფთავებულ ყაფაზებს, უქმად დაყუდებულ გამყიდველებს და მაგონდება ის ბედნიერი დრო, როდესაც თქვენის იმედით ფრთაშესხმული მუშტრები სპეკულანტებს აინუნშიც არ აგდებდნენ.

ახლა სპეკულანტები ეშმაკურად იღიმებიან და თავს არხინად გრძნობენ. ღმერთმა ისევ მოწყალე თვლებით გადმოგვხედაო; ბაზრის სიღრმიდან გაპყურებენ თქვენს მიერ კოხტად გაფორმებულ მალაზიებს და იგუდებიან სიცილით.

წედანაც ვთქვი და ახლაც ვიმეორებ, კარგად დაწყებულ საქმეს კარგი მომავალი უნდა ჰქონოდა. თუკი ლაგოდების, სამგორის, გურჯაანის და სხვა საკომისიო მალაზიები დღესაც ნაირნაირი და მალაზიარისხოვანი პროდუქტებითაა ავსილი, თქვენ რა მოგივიდათ, ასე რამ დააცარიელა ის თქვენი სამყოფ-საბრძანებელი, რომლის აშენების დროსაც ხმა მჭექარე გქონდათ და გული მხიარული. მაგრამ გულგატეხილი არასდროს არა ვყოფილვარ და მჯერა, რომ თქვენი მალაზიებიც გაივსება ნაირნაირი პროდუქტებით, ისევე გაუფუჭდებათ ბაზრის სპეკულანტებს გუნება, ისევე დაუტკებთ თბილისელ მოქალაქეებს თვალი, ისევე გაჩნდება ჩემს სახესზე ღიმილი, რამეთუ სახეს ღიმილი უფრო უხდება, ვიდრე დაღრეჯილობა.

ჰქენით სიკეთე, ჩემო კარგებო, ისევ გაავსეთ თქვენი საკომისიო მალაზიები, ისევ დაუნადვლიანეთ გული სპეკულანტებს, ისევ გაგვიხარეთ გული მე და მუშტრებს, ისევ გაახურეთ ვაჭრობა, ისევ უანგაროდ შეეშველეთ კოლმეურნეებს და თქვენ გაასაღეთ მათი ზედმეტი პროდუქტები მათდა სასარგებლოდ და ჩვენდა გულგახანარად.

აბა ჰე, თქვენ სცით.

ნიანზი

ზოგიერთ დაწესებულებაში ყალბ ცნობას აძლევენ ისეთ პირებს, რომლებიც იქ არ მუშაობენ.



ნახ. ჯ. ლოლუასი

— ეს ახალგაზრდა სად მუშაობს, მთელი დღე რომ ქუჩაში დადის?
— ცნობა აქვს, რომ მუშაობს და, ამიტომ, არსად არ მუშაობს!

ძვირფასო ნიანგო!

ნუ გაგვიცინება ჩვენზე, სოფელ სხვიტორის მცხოვრებლებზე და ნუ იფიქრებ, თითქოს მეტად გამოუცდელი და ადვილად მოსატყუილებელი ვიყოთ, მოხდა ისე, რომ 1960 წელს, აკაკი წერეთლის დაბადებიდან 120 წლისთავთან დაკავშირებით, ფართო, მოსაფლავებული გზა გაკეთდა რკინიგზის სადგურიდან პოეტის სახლამდე და ჩვენც, სხვიტორელებმა, გულით გავიხარეთ. ამაში რა არის გასაკვირი. ვის არ გაეხარებოდა კეთილმოწყობილ გზაზე სიარული, მაგრამ ჩვენი სიხარული მაშინ უნდა გენახათ, ამ გზაზე ავტობუსიც რომ გაუშვეს. გზაც კარგი გქონიათ და ავტობუსიც თქვენი ყოფილა, მეტი რაღა გინდათ — იტყვი შენ, მაგრამ ავტობუსიც არის და ავტობუსიც სწორედ ამაზე იტყვიან „ან ავლილი, ან ჩავლილი ხომ არ გინახავს“. კვირაში ერთ დღეს მუშაობს და ისიც ყოველგვარი განრიგის გარეშე. წინათ თუ საჩხერეიდან სხვიტორამდე მისვლას თხუთმეტი-ოდე წუთს ვანდომებდით, ახლა ავტობუსის ცდაში საათობით დროს ვკარგავთ. მაგრამ არ გეგონოს, ძმაო ნიანგო, თითქოს ჩვენ საჩხერის ავტოსატრანსპორტო კანტორას ვემდუროდეთ. განა მაგათი ბრალია, რომ ავტობუსი ხან ქორწილებში იგზავნება, ხან დაკრძალვაზე, ხან ფეხბურთის მატჩებზე და ხან კიდევ სხვა რაიონებში ექსკურსიებზე. ჩვენ კი, ხომ გაგიგონიათ „მიუჩვეველს ნუ დაჩვევ და მიჩვეულს ნუ გადაჩვევო“, ადრე ფეხით გვივლია და ახლაც ფეხით ვივლით.



ა. როსტომაშვილი



საყვარელო ნიანგო!

ანაგის ქ. № 24 — სახლის მეორე სადარბაზოს მობინადრეებს რომ ექვსი თვის წინათ გაზი გაუყვანეს, პირველი სადარბაზოს მობინადრეები ერთ აუწერელმა ადტაცებამ შეგვიპყრო. საწყენი მსოფლიო ის არის, რომ მეორე სადარბაზოს მობინადრენი მოკლებული არიან ჩვენს მიმართ ანალოგიური გრძნობის გამოხატვის საშუალებას, რადგანაც ჩვენთვის გაზი არავის გამოუყვანია. ექვსი თვეა შევცქერით გაზმშენის მეოთხე სამმართველოს და მის მიერ სამზარეულო ოთახებში განგრეულ ჭერებს, ხოლო კიბეებზე დაყრილ მილებისათვის კი უსინათლობის დროს გვერდი ვერ აგვივლია. ყველაფერს ისევე ჩვენ გვაბრალებენ — თქვენი მფობლები ბუცხრიკიძე და კოსტავა (ბინა № 2 და 3) სახლში არ გვიშვებენ სამუშაოების ჩასატარებლად, ხოლო საგვემო სამმართველო კი პროექტს არა სცვლის. ძმაო ნიანგო! ჩვენც რაღა გვეთქმის, ვზივართ და უსიტყვოდ ველოდებით.

ა. კალაძე



ძმაო ნიანგო!

შენ, ალბათ, გინახავს თვითმომსახურებაზე გადასული სასადილო ან მაღაზია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, შემნახველი საკანი ჯერ არ შეგხვედრია. თუ დამიჯერებ, ასეთ შემნახველ საკანს შესტაფონის რკინიგზის სადგურზე შეხვდები. ამ დარგში თვითმომსახურების დანერგვას თავისი დადებითი მხარე გააჩნია, სახელდობრ ის, რომ საკანში მომუშავეს პირადად არ უხდება მიძიმე სამუშაოს შესრულება. აქ ყველას თავისი ნივთი შეაქვს. თვითონვე ინახავს მას და შემდეგ ისევე უკან გამოაქვს. პატივცემული ნიანგო! განა ეს მაგალითი მისაბაძი არ არის. მართალია, ხანდახან ასევე ხდება, რომ დილით მიიტან შესანახად 25-ლიტრიან ღვინით სავსე კასრს, მზრუნველად მოთავსებენ სადმე თაროზე და საღამომდე არხეინად სეირნობ, ან კი რა გაქვს სადარბეული. საღამოს კი, გამოსატანად რომ მიხვალ, ადგილზე არაფერი დაგხვდება. ძალიან არა, მაგრამ ოდნავ გაგიკვირდება და შემნახველი საკანის მუშაკს ვინერას შეეკითხები:

— ქალბატონო ვენერა, შემთხვევით ხომ არ იცით, სად არის ჩემი კასრი?
— ვილაცამ შეცდომით წაიღო, — გეტყვის ვენერა.

— სამაგიერო მაინც ხომ არაფერი დაუტოვებია? — ყოველი შემთხვევისათვის შეეკითხებით თქვენ და უარყოფით პასუხს რომ მიიღებთ, მშვიდად სტოვებთ იქაურობას. ან კი რა გაქვთ ასაღლელებელი. შეიძლება ნატურალური ღვინო წყალწყალა ღვინით ავინაზღაურონ, მაგრამ ამისთანა წვრილმანზე ლაპარაკიც კი არა ღირს. გულში კი იტყვი — ნ ნოემბერს შემნახველ საკანიდან შეცდომით 30-ლიტრიანი კასრი რომ სხვას გაატანეს! და მის პატრონს კი 10-ლიტრიანი დაუბრუნეს, მას არაფერი უთქვამს, და მე რა მეთქმისო. შენც, ალბათ, მეგრ რამეს იტყვი გულში, ჩემო ნიანგო, მაგრამ ეს უკვე შენი საქმეა.

გ. ბუბუტეიშვილი



აზხანაზო ნიანგო!

ოჩამჩირის რაიონში არსებობს ახალი დასახლება, ერთ-ერთი ლამაზი ზღვისპირა საკურორტო ადგილი, რომელსაც ახალი კინდლი ჰქვია. აქ არის ზღვა, მზე, ჩაის ფაბრიკა, „საქჩაის“ მიერ აშენებული დასასვენებელი სახლი, უამრავი დასვენებელი და სუფთა ჰაერი. მეტი რა უნდა ინატროს კაცმა, მაგრამ ხომ იცი, ადამიანის გულის გაუმაძღრობის ამბავი. ბაქანთან მისასვლელი გზა და ხიდი შეუკეთებელი რატომ არისო, ვითომ და დიდი საქმეა ხიდვემ მორევი გაცურვა ანდა წნელის მაღალ ღობეზე გადაძრომა. მართალია მატარებლის მოსვლამდე მგზავრები მიწაზე სხდებიან,

რადგან სკამები არ არის და ჯიხურიც, სადაც წინათ ბილეთებს ყიდდნენ, დაკეტილია, მაგრამ ფეხზე დგომასაც ისევე შეიძლება მიეჩვიოს ადამიანი, როგორც ჯდომას ან სიარულს. ზოგმა ისიც კი მოინდომა, რომ პირდაპირი მიმართულების მატარებლებიც შეჩერდნენ მცირე ხანს კინდლის ბაქანზე. ეს კი მეთისმეცია, თითქოს მატარებლიდან გადმოსტომა ძნელი საქმე იყოს. ისიც მართალია, რომ პლატფორმიდან კინდლამდე არავითარი ტრანსპორტი არ მოძრაობს, არ არის მაღაზია, ბუფეტი, სასადილო ან კაფე, მაგრამ სპეკულანტები და გადამყიდველები ხომ საკმაოდ არიან. არა და პურის მაღაზიაში ცოტა პურის გარდა არაფერაც ხომ ყილიან. ელდენი დაბალი ძაბვისა არისო, გართობა და კულტურული მომსახურება არ არისო, ჟურნალ-გაზეთები არ იყიდებაო. ალბათ იმასაც იტყვიან, რომ ადგილობრივი კოლმეურნეების მიერ მოწყობილ ხეივანში სკამები არ არისო. სკამები მართალია არ არის, მაგრამ სამაგიეროდ უსუფთაობაა. ასეა ძმაო ნიანგო, როგორც წყნით გითხარი, კაცის გულს არაფერი გააძლბს. იმასაც კი ამბობენ, თითქოს „საქჩაი“ გაცილებით მეტ ყურადღებას აქცევდაო დასასვენებელი სახლების კეთილმოწყობას, ხოლო სახალხო მეურნეობის საბჭოს რომ გადასცეს, არაფერი კეთდებო, მაგრამ არ დაიჯერო, ყველაფერი ეს უსაქმო დასვენებლების მოჭორილია და სინამდვილეს ამ შეეფერება.


დამსვენებელი



პატივცემულო ნიანგო!

ხობის რაიონის სოფლებში შუა და ზემო ქვალონში არც სინათლე იყო და არც რადიო. გასულ წელს შეძენილ იქნა რადიოგაყვანილობისათვის ყველა საჭირო მასალა, მაგრამ შუა ქვალონელებს რადიოს ხმა კი არა, რადიოს მავთულებიც კი არ დაგვიანახია, ისე იქნა ყველაფერი გაზიდული ზემო ქვალონში. რადიოს ხაზმა შუა ქვალონის ტერიტორიაზე მიწის ქვეშ გაიარა. ახლა ზემო ქვალონელებს რადიო აქვთ, შუა ქვალონელები კი მოწყენილები ვზივართ და მიწას დაეცქერით, იქნება იქიდან მაინც მოვისმინოთ რაიმე. სოფელში ერთი-ორი ისეთი ადამიანიც აღმოჩნდა, რომლებმაც ასეთ უსამართლობას მეტად ულამაზო საქციელით უპასუხა, ამოთხარეს და გადაჭრეს რადიოხაზი. ეს საქციელი, რა თქმა უნდა, სწორი არ არის, მაგრამ არც ის არის სწორი, ძმაო ნიანგო, რომ ზემო ქვალონელები რადიოს ხმით სტკებოდნენ, ხოლო შუა ქვალონელები კი მიწას ჩასცქეროდნენ. ამას რომ თავი დაგვანებოთ, სინათლე მაინც როდისღა გვექნება?

კალი ლეფსაია



ჩემს ცოლს ყველაფერი საზღვარგარეთული მოსწონს და რა თქმა უნდა, ბავშვის საწოლსაც საზღვარგარეთულს მოინდომებდა. თბილისის მაღაზიებში ბავშვის საზღვარგარეთული საწოლი ჯერ არავის უნახავს (მაღაზიებში, რა თქმა უნდა, თორემ საწყობებში შეიძლება იყოს კიდეც), მოსკოვს მივაშურე. ავეჯის მაღაზიის გამყიდველმა იქაც იგივე მითხრა — არ არისო. მე თვალი ჩავუკარი, „მაღარიჩს“ შევპირდი და მანაც გამიღიმა, რაც იმას ნიშნავდა, რომ საწოლის „შოვნას“ მპირდებოდა. პირველი შეტყვის წარმატებით დამთავრებით გათამამებულმა, სხვა მოთხოვნებიც წამოვაყენე: მე არაფერზე რამ არ შევწუხდე, შეფუთვა და რკინიგზის სადგურზე წაღება თქვენვე რომ მოაწყოთ, ყველაფერი ეს, რა დაჯდება მეთქი. გამყიდველმა ორმოცი მანეთი დაასახელა. მართალია საწოლი 17 მანეთი ღირს, მაგრამ ეს რა სახსენებელია, თუ კი გადავრჩებოდი რკინიგზის სადგურზე სირბილს.

თბილისში ჩამოსულმა 4-ჯერ მივაკითხე საბარგო სადგურს. როცა აყალმაყალი ავტებზე, გამოირკვა, რომ საწოლი ჩამოსული იყო. საბარგო საწყობში შესვლისთვის ფული გამომართვეს, საწოლის მონახვაზედაც ფული წაიღეს, საწყობიდან საწოლის გამოტანაზე ფული გამომართვეს. საწოლის სახლამდე მიტანაში მუშამ 10 მანეთი

მთხოვა. მე უარი ვუთხარი და საბარგო სადგურზე 8 საათიანი ყურყურის შემდეგ იძულებული ვავსდი საბარგო მანქანა დამეჭირავებინა. მაინც მოგებულნი მე დავრჩი. საწოლთან ერთად მეც მოვთავსდი მანქანაში. სახლში 15 წუთში აღმოვჩნდი. მძლოლმა საწოლი თვითონ ჩამოიღო მანქანიდან, სახლში თვითონ აიტანა და გასამრჯელოდ 5 მანეთის ნაცვლად, 10 მანეთი წაიღო. ჩემმა ცოლმა საწოლი რომ დანახა, სიამოვნება დიდინით გამოხატა. მე-ზოხბლის ქალი ვაფიქრდა და შემოგვწყურა, რატომ მეც არ ჩამომიტანეთ ასეთი საწოლიო.

ერთი კვირის შემდეგ, საწოლის კედელმა რყევა დაიწყო, შემდეგ კვირას, რიკულები მთლიანად ამოცვივდა. გოგონას ღამით ხან თავი და ხან ხელ-ფეხი ეჭედებოდა ამ რიკულებს შორის და იყო წივილ-კივილი; მე ამის გამო, ღამე არ მეძინა, ცოლი იწყევლებოდა და მეზობელი არ გველაპარაკებოდა. ამიტომ, საწოლი რომ გატყდა, ძალიან გამიხარდა. ჩემმა ცოლმა საწოლი გარეთ გაავლო და დააყოლა:

— ესეც შენი საზღვარგარეთული საწოლიო.

მეზობელი შეგვირიგდა, მე ღამით წყნარად მიძინავს და ახლა ჩვენებური საწოლის უიღვას ვაპირებ.

მ. ნუცუბიძე

ნახ. 5. მაღაზონიასი



— როგორ ხარ, მათე?
— პენსია მაქვს 120 მანეთი, წნევა — 220 უსაქმურობისაგან.

საბარგო

- ო კეი, სერ! დაჯექით. ინებეთ სიგარა.
- გმადლობთ. მე შორეულ საქართველოდან ვარ, თქვენთან.
- საქართველოდან?
- დიას. სპეციალურად ჩამოვედი.
- რატომ სამშობლოში არ იმკურნალეთ?
- არ მინდოდა ოპერაციის გაკეთება. გადამარჩინეთ, მიშოვეთ წამალი.
- გიშოვით, მაგრამ ძვირი დაგიჯდებათ!
- გადავიხდი.
- როგორ მომაგენით უცხო ქვეყანაში?
- ჩეხოსლოვაკიაში მომცა თქვენი მისამართი ვინმე შვედმა.
- იმ შვედს ვინ მისცა?
- ფრანგმა. მართლა მიშოვით?
- გიშოვით. ჩვენი ქალაქის მერიც სვამს...
- სასიხარულოა. რამდენ წამალს მომიტემა?
- ორ ბოთლს. სულ ათი მაქვს. შინაური წამალია, ლიუქს!
- კეთილი. მაჩვენებთ?
- გაჩვენებთ. აი, ამ ტყავის ჩანთაშია ჩაწყობილი.
- გამიხვიეთ კიდეც.
- გახვეულია. მხოლოდ არავის აჩვენოთ.
- როგორ გეკადრებათ!..
- ეცადეთ ბოთლი ხმარებამდე არ გახსნათ.
- კი მაგრამ, არ ვნახო?
- ნახეთ. გახსენით ჩანთა! გაფხსენი.
- რას დაფრთხნით? რა არის შიგ?
- ორი... ბოთლი... „ბორჯომი“...



მ. პასრბძე

ამას წინათ მუდამზიან სამბრედიას ბოშათა თეატრალური ანსამბლი ესტუმრა. კულტურის დარგის მუშაკებმა თავიანთი უსაზღვრო სიხარული საკოლმეურნეო ბაზრის ღობეზე გაკრული სარეკლამო აფიშით ამცნეს მოსახლეობას და გამვლელ-გამომვლელთ. რეკლამა-აფიშა იუწყებოდა, რომ კულტურის პარკში გაიმართებოდა „ცეცხლის ანსამბლის საღამო-კონცერტი 2 განა“.

აღნიშნული რეკლამის შემდგენელთა ფასდაუდებელი ღვაწლის სათანადოდ დაფასების მიზნით, ნიანგი ბეჭდავს ფოტოდოკუმენტს. ამასთან ერთად, ნიანგი ფიქრობს გამორაკვიოს სამბრედიელ მუშაკებს ხომ არ ეკუთვნით ზოგიერთი კინოფილმების სახელწოდების— „ბალანის გულობიზა“, „მისდღეში დაუნახავი კაცი“ და „ყაზილარი ფიშტოთი“ — მეტად „ზუსტი“ და ორიგინალური თარგმანი.




ფაბრიკის დირექციამ ესეც არ აკმარა მაღლიერებით სავსე მეზობლებს და შიგ ისეთი სასიამოვნო სუნამოთი გაჟღენთილი რქები მოათავსა, რომ დღე და ღამე დიდსა და პატარას ცხვირზე თითები აქვთ მიჭერილი. ამას თუ დაფუძებთ მის

გვერდით მოთავსებულ ყელამდე გავსებულ სანაგვე ყუთიდან გადმოფენილ ნაგვის სურნელებას, ადვილად მიხვდებით, რა სასიამოვნო გრძობით იქნებიან ავსილი ფაბრიკის გვერდით მცხოვრები მეზობლები. ნაგვის ადვილობრივად გაქრობის მიზნით, სანაგვე ყუთიდან ხშირად ისეთი ცეცხლის ალი ამოვარდება ხოლმე, რომ მეზობლად მდებარე თბილისის ნავთობის ბაზის მუშაკებს ყოველციცხმარე ცეცხლმქრები აქვთ ხელში მომარჯვებული.

იმისათვის, რომ ყველასათვის მისაწვდომი გახდეს მხატვრული ნაწარმის და სუვენირების ფაბრიკის ხელმძღვანელების მიერ მხატვრულად აშენებულ-გაფორმებული საწყობის სილამაზე, ვათავსებთ ფოტოსურათს.

მ. კახელიშვილი




ლირაქორის კაბინათან

პირველი დღე. დალა.
 — შეიძლება?
 — აბა ერთი, არ ამომასუნთქოთ. არა მცალია, მოხსენებას ვწერ!
 — ო, უკაცრავად!
მეორე დღე. შესვენების წინ.
 — შეიძლება თქვენთან?..
 — უზრდელო, ხომ ხედავ, ვსაუბრობ მეგობრებთან, რა ხანია ჩემთან არ ყოფილანი
 — ო, მაპატიეთ...
მესამე დღე. შესვენების შემდეგ.
 — პატივცემულო...
 — უფუნურო, ახლა უნდა შემაწუნო, როცა ძლივს მართო დავრჩი!
 — ო, ბოდიშს...
მეოთხე დღე. დღის ბოლო.
 — ბატ...
 — თავხედო, თქმის უამი არ უნდა იცოდე? ხომ ხედავ, წასასვლელად ვემზადები.
 — სულ მიღიხართ?
ლ. მარტაშვილი

ნახ. ზ. ფორჩხიძისა



— ბატონო, ქრთამს რავა შეგკადრებთ, მარა, თუ ამ საქმეს გამიკეთებთ, მაღარიჩი ჩემზე იყოს!



რედაქტორი ნ. შველიძე.

სარედაქციო კოლეგია: ნ. დუმბაძე, ხ. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, მ. ქარჩავა, ო. კელიძე.

საქ. კ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ეურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Няньги“. რედაქციის მისამართი: რუხთაველის ქ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის—9-76-89, ხაერთო განყოფილების—8-10-49

ხელმოწ. დასაბ. 1/XII-1962 წ. ქალ. ზომა 70x108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5. პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14. შვკვ. № 2278, უფ. 08801 ტირაჟი 40,000

მსოფლიო განვითარებაში მკაფიოდ დაისახა ორი ტენდენცია. პირველი ტენდენციაა სოციალისტური ქვეყნების ეროვნულ მეურნეობათა სულ უფრო მჭიდრო დაახლოება, მათი საწარმოო ძალების ინტერნაციონალიზაციის პროგრესული პროცესი. მეორე ტენდენციაა კაპიტალისტური „ინტეგრაცია“, რომელიც მიზნად ისახავს გააერთიანოს სხვადასხვა ქვეყნის მონოპოლისტური კაპიტალის დონი სძიებანი სოციალიზმის მზარდი მსოფლიო სისტემის წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ მონოპოლიათა მისწრაფებას გაერთიანების სადმი გარდუვალად თან სდევს იმპერიალისტთა შორის წინააღმდეგობათა, უთანხმოებათა, კონფლიქტთა მკვეთრი გამწვავება.

(აზნ. ს. სრუშკოვის მოხსენებიდან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1962 წლის 19 ნოემბერს).



ხელჩართული ვაჭრობა „მეგობრულ“ ვითარებაში.